ახალი სხივი

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

შაბათი, 6 მარტი 1910 წ. № 26

გაზეთი „ახალი სხივი“ ღირს როგორც თფილისში ისე თფილისს გარეთ ერთი წლით 7 მან. ნახევარი წლით 4 მან. ზაფიურათ: თფილისში 80 კაპ. თფილისს გარეთ 90 კ. სამი თვით თფილისში 2 მ. 20 კ., თფილისს გარეთ 2 მ. 50 კაპ. ნახევარ გარეთ—ორჯერ მეტი იმაზე, რამდენიც თფილისში ღირს.

განცხადებების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით—15 კაპ. უკანასკნელზე—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 4 საათამდე 3 მან. 4 საათის შემდეგ—მეტი. გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველი რიცხვიდან.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპოდენციები არ ინახება და მათ შესახებ რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არ კისრულობს. ერთი თვით ინახება მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით პასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები, ადრესის გამოცვლა თფილისიდან თფილისს გარეთ ღირს 80 კაპ. სხვაგან—40 კაპ. ცალკე ნომერი ღირს ყველგან ერთი შაური. რედაქციის ადრესი: თფილისი, ვანქის ქუჩა

ეჟოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ახალი სხივი“

მიიღება ხელის მოწერა 1910 წლისათვის

გაზეთი ღირს: თფილისსა და თფილისს გარეთ ერთი წლით 7 მ., ნახევარი წლით 4 მ., საზღვარ-გარეთ: ერთი წლით 14 მ., ნახევარი წლით 7 მან. სამი თვით: თფილისში 2 მ. 20 კ., თფილისს გარეთ 2 მ. 50 კ., ერთი თვით: თფილისში 80 კ., თფილისს გარეთ 90 კ.

ხელის მოწერა მიიღება: თფილისში „ახალი სხივის“ კანტორაში, ბათუმში, სამტრედიაში და ჭიათურაში რკინის გზის შკაფებში, ქუთაისში ის. კეიცარიძესთან, ჩოხატაურში ს. თავართქილაძესთან—წიგნის მაღაზიაში, ოზურგეთში მ. თალაკვაძესთან, ზიდისთავში ნ. კობიძესთან, ფოთში ს. ორაგველიძესთან. დანარჩენ ადგილებიდან ფოსტით უნდა გამოგზავნონ ფული რედაქციის კანტორაში.

რედაქციის ადრესი: რუსის ქუჩა № 3, შემოსავალი დიდი ვანქის ქუჩიდან.

ფულის გამოსაგზავნი ადრესი: Тифлисъ, тип. „Шрома“, **Калистрату Конст. Гладзе.**

ეურნალ „ნაკადული“-ს რედაქცია აუწყებს საზოგადოებას, რომ კვირას, 7 მარტს, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გარდახდილი იქნება მეორმოცე დღის პანაშვიდი

მარიამ ივანეს ასულის დემურიას

სულის მოსახსენებლად, შუადღის 12 საათზე. (2—1)

გამოსათხოვარი **ქართული თეატრი** წარმოდგენა

სამშაბათს, 9 მარტს 1910 წ.

ქართული დამატიული დასის მიერ **ვლ. ალექსი-მესხიშვილის** მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

ჰამლეტ

ტრაგედია 5 მოქმ. ვილ. შექსპირისა. თარგ. ი. მაჩაბელისა.

მონაწილეობს მთელი დასი. — ● — ჰამლეტის როლს შეასრულებს ვლ. ალ. მესხიშვილი. ოფელიასას მ. მდივანი, პოლონიუსისას კ. მესხი, აქტიორისას ალ. იმედაშვილი

ფასები დაკლებულია **დასაწყისი საღ. 8 საათზე.**

რეჟისორი: **ვლ. ალექსი-მესხიშვილი.**

სახალხო თეატრი

სახალხო უნივერსიტეტი.

შაბათს, 6 მარტს, 1910 წელს დოქტორი ბ. ვ. სოგბოლევსკი წაიკითხავს ლექციას

სულანი და კონგო

(ჩემი შთაბეჭდილებანი ცენტრალურ აფრიკაში მოგზაურობიდან). დაწვრილებით აფიშებში.

დასაწყისი საღამოს 8 ს. ფასები ძლიერ დაკლებულია. **მოწაფეთათვის 40 კ.**

ამით ჩვენ ურჩევთ ყველა მეაბრეშუმეთ ნუ მოერიდებიან ცოტათი მეტ ფასს და შეიძინონ

„სოფირ იაღლის“ (ბაღდადის)

აბრეშუმის თესლი

თუმც ეს თესლი შეიძლება სხვაზედ ცოტათი მეტი ღირდეს, სამაგიეროთ, ყოვლად საიმედო და უტყუარი გამოდის, რადგანაც, როგორც სტატისტიკურ ცნობებიდან სჩანს, ეს ფირმა საზღვარგარეთ ყველაზედ საუკეთესოთ უცნიათ და ოფიციალურ დაწესებულებას უმაღლესად დაუმტკიცებია. **რომ ეს თესლი იაფათ შეიძინოთ,** უნდა მიმართოთ **პირდაპირ ფაბრიკის** სკლადში, **ბათუმში მარიინსკი პროსპექტზე № 19 სახლში,** (**საურთიერთო ბანკის ქვეშ**). (12—2)

კბილის ექიმი

რომანიშვილი—დგებუაძისა

იღებს ავათმყოფებს 2—6 საათამდის. პლომბის გაკეთება, კბილის ამოღება და ხელოვნური კბილების ჩასმა ყველასათვის ხელმისაწვდენ ფასათ. მოსწავლე ბავშვებს დაკლებულ ფასებში.

ახალი ბინა: ავჭალის ქუჩა № 34.

კბილის ექიმი

ს. ბაშაკმაძე

დილით მიიღება ავათმყოფები 11 საათიდან 2 საათამდის. საღამოს 5—7 ვერის დალმართი სახ. 15.

ავლაბრის აუდიტორიაში

კვირას, 7 მარტს

ქ-ნი კარბელაშვილი ქართულათ წაიკითხავს

„იასონის“

შვიდ ბუნდოვან სურათებით. დასაწყისი თერთმეტ საათზე.

ქართველთა გამოსაცემელ ამხანაგობის

„ცინკოგრაფია“

იღებს ყოველ-გვარ ზაკაზებს კლიშეებისა და ასრულებს სუფთათ თავის დროზე.

ადრესი: თფილისი, დიდი ვანქის ქუჩა, სახლი № 12 ზემო სართულში. (0—12)

დაიბეჭდა და იყიდება ქართულ ენაზე ჰერგარტ ჰაუპტმანის ცნობილი დრამა

ფეიქრები

წიგნში ჩართულია ავტორის სურათი და პ. კოკანის კრიტიკული განხილვა. ეს დრამა ბერლინის თეატრებში სამი წლის განმავლობაში ორასჯერ დასდგეს. დრამის შინაარსი აღებულია გასულ საუკუნის ორმოციან წლებიდან გერმანიის მუშათა ცხოვრებიდან.

წიგნი ღირს 50 კაპ.

მთავარი საწყობი წიგნისა არის მაღაზია „ალიონის“ გამგე ვ. გადილიასთან. პროვინციაში მსუყოველთ წიგნი გაეგზავნება ჩვენი ხარჯით.

ფოსტის ადრესი. **Тифлисъ, Кирочная ул. № 9 Василію Гадилія.**

0—1

ეს მოსაზრება განა ირღვევა რომელიმე ქალაქის მაგალითით? ასეთი ჩვენ ჯერ არ ვიცით და თუ ვინმე მიგვითითებს, მაშინ გავცემთ პასუხს. ანტი-დემოკრატიული მოღვაწეობის ნიმუშები, ნიმუშები კი არა თვით სული და გული ამგვარი მოღვაწეობა ქალაქის თვითმართველობების და მათი ალმასრულებელი ორგანოების, რამდენიც გნებავთ. ავიღოთ ჩვენი ნაცნობი—თფილისის საბჭოს გამგეობა და მაგალითებიც ახლო წარსულიდან ამოვიღოთ. გასული წლის დეკემბერში გამგეობის წინ დადგა კითხვა: ვის უნდა დაეთმოს სახალხო სახლში განსაზღვრული დღეები: სახალხო უნივერსიტეტის დრამატიულ სექციას, რომლისკენ იყო შეგნებულ მუშათა სიმპატია, თუ ახლათ გამოჩეკილ „წრეს“? ქალაქის გამგეობამ შეგნებულ მუშათა სიმპატია განზე აგდო და უპირატესობა მისცა „წმინდა ხელოვნების წარმომადგენლებს“. როგორ იქცევა იგივე გამგეობა, როცა „წმინდა ხელოვნების“ მოსამსახურე „წრე“ დახმარებას თხოვს მას? მისი ლოგიკა მოითხოვდა, რომ „წრე“, რომელიც ფართო მასსას „წმინდა ხელოვნებას“ აწვდის, ყოველივე დახმარების ღირსია. „დემოკრატიულმა“ გამგეობამ ასე არ გასაჯა: ქართულ „წრეს“ დახმარება რომ ალმოვუჩინოთ, მაშინ სომხურს, რუსულს და თათრულსაც უარს ვერ ვეტყვითო. დემოკრატიული გამგეობა ასე მოიქცეოდა? ის არ არჩევდა ამ გვარ „წრეების“ დახმარებას რამდენიმე ასეული მანეთით, ვიდრე ქალთა უმაღლეს კურსებისათვის რამდენიმე ათასის ყოველ წლიურათ გადადებს? უღარიბეს ნაწილზე ზრუნვა კი არა, უფრო უზრუნველობა დასჩემდა ჩვენ „დემოკრატიულ“ გამგეობას. სოლოლაკის გვირაბის გაყვანა და ექსპლოტაცია ქალაქის თვითმართველობამ გასცა კონცესიონერზე. გადის რამდენიმე დრო, ჯერ მუშაობაც არ დაეწყო კონცესიონერს, გამგეობას საბჭოში წინადადება შეაქვს პირობის შეცვლაზე, არ იფიქროთ, ქალაქის ხელმოკლე მკვიდრთა სასარგებლოთ, პირიქით, სწორეთ ამათ საწინააღმდეგოთ და თვით ქალაქის კასის საზარალოთ: ჯარის კაცებზე და ბავშვებზე, რომლებიაც წინანდელ პირობით უფასოთ გასვლის ნება ჰქონდა ამ გვირაბში, ფასები დაწესდესო. საბჭომ, რასაკვირველია, გამგეობის აზრი მიიღო, რითაც გადალახა ქალაქის დემოკრატიული და ხელმოკლე ხალხის ინტერესები. კიდევ ერთი საგმირო საქმე, რომელიც წარსული წლის ნოემბერში ჩაიდინა გამგეობამ: ქალაქის კონტრაგენტი, უსახელო საზოგადოება ყოველივე კანონიერ და უკანონო საშუალებით ავიწროებს, უკანასკნელ დღეს აყენებს თავის მუშებს, რომლებისგანაც დიდათ დამოკიდებულია წესიერი მოძრაობა ვაგონების, წესიერი შეკეთება წამხდარი ვაგონების, წესიერი საზოგადო თვალყურის დევნება საქმის. ჩვენ საეჭვოთ და ძლიერ საეჭვოთ მიგვაჩნია, რომ საბოლოოთ მუშების შევიწროებით მოიგოს ან თვით უსახელო საზოგადოებამ და მით უფრო თფილ. მცხოვრებლებმა, რომლებსაც ბედმა არგუნა თავის წასვლა-წამოსვლის დროს უსახელო საზოგადოების ვაგონებით სარგებლობა. 5 იანვარი ერთი ამის მაგალითი უკვე იყო. ქალაქის გამგეობა ასეთ საზოგადოებას, მის წარმომადგენელს აძლევს ქების ატესტატს და ეხმარება ბირჟაზე აქცია ობლიგაციების აწევის საქმეში. დეე, აიწიოს უსახელო საზოგადოების აქციებმა, ჩვენ ამის წინააღმდეგი არაფერი გვაქვს, ოღონდ ნუ იქნება გათელილი ინტერესები თფილისის მცხოვრებთა საერთოთ და კერძოთ მუშათა, რომელთაგან დამოკიდებულია თვით მცხოვრებთა კეთილ-დღეობა. ყალბი ატესტატების მიცემას ქალაქის გამგეობის, სხვის არ ვიცით, ჩვენ კი ამისთანა [illegible] მოღვაწეობაში ვერ ჩავთ.

[illegible]ებული მაგალითებიც, სხვას

[illegible]

[illegible]

[illegible]

არა. პირიქით, იმათ წერილი დასტამბეს და სთხოვდენ ყველას ცნობებს, რომ შეკითხვა შეიტანონ და ყოველივე სინათლეზე გამოიტანონ.

და აი, ასეთ დროს „დროება», ნაცვლათ იმისა, რომ დეპუტატების მოწოდებაზე ხმა ამოიღოს, „განგაში ასტეხოს“, მოუწოდოს ყველას—რაც შეიძლება მალე მიაწოდონ დეპუტატებს საჭირო ცნობები და მით გაუწიონ დახმარება არა დეპუტატებს, არამედ პარნაუთელ გლეხებს—აუწყებს თავის მკითხველებს, რომ დეპუტატებმა გლინკას შეკითხვით გული დაიმშვიდეს და დაკმაყოფილდენო. ამას ეძახიან ფაქტების დამახინჯებას, სიყალბეს და მკითხველთან დაბეზღებას.

რას იზამთ, თუ რომ „დროება“ ამაში ხედავს თავის დანიშნულებას. ჩვენ ასე არ გვესმის გაზეთის დანიშნულება და მივმართავთ ყველას, ვისაც კი რაიმე ცნობის მოწოდება შეუძლია, გაგზავნონ დაჩქარებით, სადაც ჯერ არს.

დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

5 მარტი.

სპარსეთი

თავრიზი. გამოსცეს განცხადებები შინაურ ექვს პროცენტიან სესხის შესახებ. პატრიოტებს მოუწოდებენ შეიტანონ კომიტეტში ფული. სესხს ჯერ კარგი პირი უჩანს.

სათარ-ხანმა და ბაგირ-ხანმა განაცხადეს, რომ მანამ არ წავლენ თეირანში, სანამ სამგზავროთ არ მიიღებს თვითოეული მათგანი 15,000 თუმანს.

თეირანი. სატახტო ქალაქის პრესაში მოწოდება დასტამბეს, რომლითაც მოუწოდებენ მცხოვრებთ არ იდღესასწაულონ მომავალი ახალი წელი, რადგან სპარსეთი დამწუხრებულია იქ უცხო სახელმწიფოს ჯარების ყოფნის გამო. წინადადებას აძლევენ დღესასწაულზე დაახარჯი ფულები მთავრობას შესწირონ.

ოსმალეთი

სტამბოლი. „ნეი ფრაი-პრესე“-ს საპასუხოთ, რომელმაც ცნობა მოათავსა, თითქო ფერდინანდი იმიტომ მიდის სტამბოლში, რომ მაკედონიის ავტონომია მოითხოვოს, გაზეთი ამბობს: ნამდვილი წყაროებიდან მტკიცდება, რომ ფერდინანდი ერთ სიტყვასაც არ იტყვის ოსმალეთის შინაურ საქმეების შესახებ. მისი მოსვლის მიზანია ოსმალეთთან შეთანხმება.

საზღვარ-გარეთ

ვენეცია. ტარნოვსკაიას საქმე. თავმჯდომარე კითხულობს სტალის წერილს ტარნოვსკაიასადმი. ამ წერილით სტალი უსაზღვრო სიყვარულს უცხადებს ტარნოვსკაიას, რომ ის მზათ არის შეასრულოს ყოველივე მისი სურვილი და კიდევაც დასწერა ანდერძი მის სასარგებლოთ. ტარნოვსკაიამ განაცხადა, რომ სტალს მართლა უყვარდა ის, მაგრამ თავი მოიკლა ცოლის ღალატის გამო. თავმჯდომარე აცხადებს, რომ სტალის ცოლმა ქმრის სიკვდილის მიზეზათ ტარნოვსკაია დაასახელა. პირის-პირ აყენებენ ნაუმოვს და ტარნოვსკაიას. ნაუმოვი ამბობს, რომ ვენეციაში ის ტარნოვსკაიამ გაგზავნა, მისცა კომაროვსკის სახლის გეგმა და სხვა. ტარნოვსკაია თავიისას ამბობს. თავმჯდომარე ეუბნება პრილუკოვს, რომ ტარნოვსკაია მკვლელობის მოწყობას მას აბრალებს. პრილუკოვი ტარნოვსკაიას აბრალებს და ამბობს რომ ტარნოვსკაიას წერილი არ მიუწერია, თითქოს მისი ცოლათ შერთვა სისულელე იქნებოდა, თუ გარანტია არ არის. ტარნოვსკაია წამოვარდება და ყვირის: „ვფიცავ, მე მივიღე ეს წერილი“ პრილუკოვი იმეორებს, რომ მკვლელობის აზრი ტარნოვსკაიას დაებადა. მან მისცა მას რევოლვერი და ურჩია მოეწამლა ხანჯალი. ტარნოვსკაია ყველაფერზე უარს ამბობს.

ლონდონი. რეიტერს ატყობინებენ თეირანიდან: ბრიტანეთის და რუსეთის წინადადებაზე სესხის შესახებ სპარსეთის მთავრობის პასუხს ამ დღეებში ელიან. იმედი ნაკლებია, რომ პირობებს მიიღებენ, მიუხედავათ იმისა, რომ სხვაგან ვერ იშოვნიან ფულს.

ტოკიო. გაზეთი «უსახი» აწყობს მეორე მთელი ქვეყნის გარშემო ექსკურსიას. ამ დღეებში 60 კომერსანტი, მრეწველი, ჟურნალისტი და მეცნიერი გაემგზავრება ამერიკისაკენ და ევროპისაკენ. ინახულებენ მოსკოვს და პეტერბურგს.

არკლოვი (ირლანდია) კინსკის ქარხანაში აფეთქება მოხდა. მოკვდა ორი. დაიჭრა რამდენიმე კაცი.

ვენა. „კორრ. ბიურ.“ სოფიიდან დეპეშით ატყობინებენ: რუშჩუკში მომხდარ ამბების გამო მოხდა სტუდენტთა მიტინგი და მეფის სასახლის წინ მანიფესტაცია. ცხენოსანმა რაზმმა მანიფესტანტები გაფანტ.

რუსეთი.

ბაქო. შტატსკურათ გადაცმულმა მატროსმა ორჯერ ესროლა რევოლვერი ნავთსადგურის უფროსს მაგრამ ააცდინა. გამვლელმა კაზაკებმა მოინდომეს მისი დაჭერა, მაგრამ მან რევოლვერი დაიხალა და მძიმეთ დაიჭრა.

პეტერბურგი. დუმის თავმჯდომარემ წერილით აცნობა თავის უფროს ამხანაგს, რომ უარს ამბობს თავმჯდომარეობაზე. სალამოს თათბირზე ხომიაკოვმა გაიმეორა თავის გადაწყვეტილება და თავმჯდომარეობა, ოქტობრისტების ავათმყოფობის გამო, შიდლოვსკის გადასცა.

ბლაგოვეშჩენსკი. გათავდა სტამბის მომუშავეთა გაფიცვა. მოთხოვნები ეკონომიური იყო. გაზეთები ათი დღე არ გამოსულა.

იაკუტსკი. ქალაქში შაქრის და ნავთის კრიზისია. ნავთი სულ აღარ არის. შაქარს ორ-ორ გირვანქობით ყიდიან.

კიევი. ფასტოკის ახლოს 7 შეიარაღებული თავს დაესხა ეტლით მიმავალ მგზავრებს და წაართვეს 800 მანათი ფულათ ტ ძვირფასი ნივთები. დაიჭირეს ოთხი კაცი. დაჭერის დროს ერთმა ჟანდარმის მოკვლა განიზრახა.

წერილები ლონდონიდან

ეს მესამე კვირაა, რაც სათემო პალატა გაიხსნა და ამ დროს განმავლობაში ბევრი რამ საყურადღებო მოხდა. მკითხველმა იცის ჩემი უკანასკნელი წერილიდან პრემიერ ასკვიტის პირველი გამოსვლა. მან იცის ისიც, რომ კრიზისი ერთ ხანობაზე ძალზე გამწვავდა, თუმცა როგორც იმ თავიოვე შევნიშნე, შიშიანობა ამ მხრივ ერთობ გადაჭარბებული იყო. საქმე იმაშია, რომ არც ერთი პარტია არაა მოსურნე საქმე უსათუოთ დღესვე ხელმეორე არჩევნებამდე მიიყვანოს. ინგლისის არჩევნები უზომო ხარჯებს თხოულობენ, ხოლო პარტიათა კასები ცარიელია. შეძლებული წრეები კი თვითეულ ბურჟუაზიულ პარტიაში გულუხვობას არ იჩენენ, რადგან ახალ კენჭობისგან ჯერ საიმისოს არას გამოელიან.

იმავე დროს უბიუჯეტოთ ცხოვრება დიდათ სახიფათოა სწორეთ სასტიკ პარლამენტარულ ინგლისში. აქ მოქალაქეს ვერ აიძულებთ, თუ ბიუჯეტი მიღებული არაა, გადასახადები შეიტანოს ხაზინაში. რასაკვირველია, უმრავლესობა **თავის ნებით** იხდის გადასახადებს, მაგრამ არიან ისეთებიც, რომელნიც სარგებლობენ შემთხვევით... მაგ. ამ მიზეზით ხაზინას უკვე დაჰკლებია დღემდე ორასი მილიონი მანეთი.

ყველა ეს და ბევრიც სხვა სულაც არ ნიშნავს, რასაკვირველია, თითქო აქაური პარლამენტარული კრიზისი დასრულებულიყოს ან მისი მნიშვნელობა ოდნავ დაცემულიყოს.

მისი ღერძი დღესაც იგივეა, რაც გუშინ: ბიუჯეტი და ლორდთა პალატის ვეტო. მართალია, ამას თან დაერთო ერთი ახალი მუხლიც, რომელიც ძლიერ ართულებს ვითარებას. მე ვამბობ ლორდთა პალატის რეფორმაზე. არც ერთ სახელმწიფოში არ არსებობს ისეთი დახავსებული პირველი პალატა, როგორც ინგლისში. ლორდთა პალატის წევრნი მათის დიდი უმრავლესობით გამოდიან არისტოკრატიულ და მემკვიდრეობით უცვლელ ოჯახებიდან, რომელთაც არჩევნებთან არავითარი საერთო არა აქვთ. აქედან ისინი არ არიან პასუხისმგებელნი ვინმეს წინაშე. ეს ვითარება მოსათმენი იყო მანამდე, სანამ სახელმწიფოს სვებედი სათემო პალატის ხელში იყო უდავოთ. მაგრამ, როგორც ვიცით, ლორდთა პალატა ნამდვილი მუხრუჭია ყოველ დემოკრატიულ და სოციალურ რეფორმებისა; უკანასკნელათ მან კონსტიტუციის საზღვრებიც კი გადალახა და ბიუჯეტს შეახო ხელი. სწორეთ ასეთ გაბედულ ნაბიჯების გადასადგმელად მას არა აქვს შესაფერი პრესტიჟი საელმწიფოში. ლორდთა პალატამაც შეიგნო ეს უხერხული მდგომარეობა და კიდევ ოთხიოდე წლის უკან მის მკერდში გაჩნდა ახალი მიმდინარეობა, რომელიც ეტრფის პალატის „განახლებას“ ე. ი. მემკვიდრეობითი პრინციპთან ერთათ **ნაწილათ** წარმომადგენლობითი პრინციპის შემოღებას. ამას ეძახიან ლორდები „რეფორმას“, აქედან მოელიან ისინი „განახლებას“.

თვით საარჩევნო კამპანიის ჟამს ამ რეფორმაზე ნაკლებ იყო სჯა-ბაასი, ხოლო რამდენათაც გამოირკვა, მაშინ პარტიათა პოზიცია ხსენებულ საგანზე აი ისიც: კონსერვატორ - იმპერიალისტები ლაშობდენ **ვეტოს საკითხის თვით ამ რეფორმაში მოქცევას,** ან უკეთ, მისი აქ ჩაქოლვას. მემარცხენე ლიბერალები, ანუ რადიკალები პრინციპიალურათ არ იყვენ ლორდთა პალატის რეფორმის წინააღმდეგ, მაგრამ ისინი სასტიკათ ეომებოდენ მას მანამდე, სანამ იმავე პალატის ვეტო შეუვეცილი არ იქნებოდა,—რადგან უმისოთ რეფორმა რეაქციონური გამოვაო. ნაციონალისტნიც რადიკალებს უახლოვდებიან საერთოთ, ან უკეთ, მათ სულაც არ აინტერესებთ ლორდთა პალატის რეფორმა, სამაგიეროთ, მით უფრო მეტ ინტერესებთ ლორდთა პალატის რეფორმა, სამაგიეროთ, მით უფრო მეტრვალეთ ესწრაფვიან ვეტოს სრულად გაუქმებას. ლაბურისტები დასასრულ პრინციპიალურათ უკუ აგდებენ რეფორმას, ისინი თხოულობენ თვით პალატის სრულიად გაუქმებას, ან ჯერ ეს თუ არ შეიძლებაო, ამბობენ ისინი, დიდი სასრულელე იქნებოდა რეფორმის დაუება და მით ლორდთა პალატის პრესტიჟის **ამაღლება** საზოგადოების თვალშიო; რაც უფრო სამასხარო გახდება ეს ხუხულაკი, მით უკეთესიო...

მე განზრახ არ მოვიხსენიე მემარჯვენე ლიბერალნი და ეს იმიტომ, რომ ესენი, როგორც მე არა ერთხელ მოვიწერე, **კონსერვატორებს** უახლოვდებიან. სწორეთ ეგ იყო მიზეზი, რომ სეფე სიტყვიდან საკმაო ნათლათ გამოსჩქვიოდა ლორდთა პალატის განახლების სურვილი და შემდეგ თვით ასკვიტმა უტიფრათ და გულახდილათ გამოამჟღავნა ლიბერალთა სულისკვეთება. მან უღალატა თავის ადრინდელ სიტყვას და მოიისურვა ვეტოს შესახებ მხოლოდ რეზოლიუციის მიღება და აქედან მისი დამარხვა; სამაგიეროთ, ის ბიუჯეტს და რეფორმას აყენებდა **პირველ რიგზე,** თითქო ცნობილი კონსტიტუციური კრიზისი არც კი მომხდარიყოს სულაც! ეს ფანდი უეჭველათ ნაადრევი იყო, რადგან მემარჯვენე ლიბერალებს ჯერ კიდევ არ სურთ მასკის ახდა. კონსერვატორებმა ხელი ჩაავლეს ამ საუცხოო შემთხვევას და ასკვიტს ქებადიდება შეასხეს ბალფურის პირით, თანაც მიმხრობა აღუთქვეს მას.

ძვირათ დაუჯდა ასკვიტს მისი ღალატი. რადიკალ-ლიბერალები აჯანყდენ, ან კიდევ ხმამაღლა ბღავილი მორთეს პრესაში. ნაციონალისტები რედმონდის და ობრიანის მეთაურობით შავი კენჭით დაემუქრენ მას, რაც გამოიწვევდა სამინისტროს დაცემას, ან მის უპრესტიჟო სულის ღაფვას **კონსერვატიულ ოპოზიციის** დახმარებით, ლაბურისტები ვერ იყვენ, სავალალოთ, მათი დანიშნულების სიმაღლეზე. ისინი კუდში მისჩანჩალებდენ რადიკალებს და ნაციონალისტებს და სრული უსუსურობა და მიუტევებელი რყევა გამოიჩინეს.

კიდევ ამ გამოურკვევლობის ჟამს მოხდა დებატები სატარიფო რეფორმაზე. კონსერვატორებს სურდათ მეფისადმი წარსადგენთ ადრესში პროტექციონიზმის საჭიროება ჩაერთოთ, მაგრამ მათი წინადადება უარყოფილ იქნა ლაბურისტების დახმარებით, ნაციონალისტებმა თავი შეიკავეს და მით ცხად ჰყვეს მათი მიდრეკილება კონსერვატორებისადმი.

ყველა ამან აიძულა სამინისტრო ფროტი გამოეცვალა. გამოვიდენ ასკვიტი და ლოიდ ჯორჯი, რათა გაეფანტათ შეკუმშული ღრუბელი. მათ წამოაყენეს შემდეგი სამუშაო წეს-რიგი: აღდგომამდე

მელოდია

ლაჟვარდი ციდან მთვარე კაშკაშით
სხივთ შადრევანებს არეს აწვიმებს,
უკუნეთურსა ბნელს გულს უგმირავს
და საკინძ გახსნილ წალკოტს აღიმებს.

ტურფა ვარსკვლავნი,
მკრთალათ მბზინავნი
მთვარის გარშემო დასრიალებენ
და მოწიწებით,
კრძალვით, რიდებით
სასიმღეროთა მოიწოდებენ.

ძირს, თვალწარმტაცი მთა-მინდორ-ველი,
აფერადებულ აყვავებული,
მთვარისა შუქში ისე მისცურავს,
ვით სატრფოს გულში გრძნობით ჩაკრული

ზედ გამალებით,
სპეტაკ შხეფებით
მთის ნაკადული მოკისკასობდა,
და ნაზ ყვავილებს
ჯგუფათ წყობილებს
ქოჩორსა ჰბანდა, ცვრებით ამკობდა.

ვარდის აშიყი მგოსან ბულბული
ტრფობა სინაზის, ისარ ნაგები,
ჩანგის გაჟიმულ სიმს აყღერებდა
და შორს ისმოდა მისი ჰანგები.

ცელქი ნიავი,
ფიქრების ნავი.
ქურდულათ დაქრის ყვავილთა შორის,
თითქოს იისა,
გულ-მკერდ ღიისა
სურდეს მიპარვა კოცნა-ამბორის.

ვიშ, რა კარგია ვითარც ბუნება
მიეცე ლხენას განუსაზღვრელსა,
ცაში ვარსკვლავებს სალამი ჰკადრო
და ბალში ყვავილთ მოეჭდო ყელსა;

მაგრამ ამაოთ,
არა საამოთ
ჩემთვის ყვავილობს ტურფა ბუნება;
და ცა ლაჟვარდი,
ვრცელ სანავარდი,
ქათქათით მე არ მესალმუნება.

გული სევდისა ქსელში გაბმული
კაცთა სიავეს ჩივის, ვალალებს
და ამდუღრებულ ცხარე ცრემლებსა
ველარა ვტაცებ ნაღვლიან თვალებს.

დ. თურდოსპირელი.

ბრწყინვალე გამარჯვება

შაბათი საღამოა. გერმანიის სატახტო ქალაქი ღელავს. ყავა-ხანებში, რესტორანებში ტრამვაის ვაგონებში, ქალაქის მატარებლებში ყველა ერთსა და იმავე თემაზე ლაპარაკობს—რა მოხდება ხვალ? საღამოს გაზეთებს მკითხველები ხელიდან სტაცებენ დამტარებლებს. პოლიციის პრეზიდენტის განკარგულებას, რომლითაც ის დემონსტრანტებს სასტიკი ზომების მიღებით ემუქრება, ყველა თავისებურათ ხსნის. უმრავლესობა აღშფოთებულია ამ განკარგულებით. სოციალ-დემოკრატიულ „ფორვერტსის“ რედაქციას ურიცხვი ხალხი არტყია ყოველი მხრიდან. ტელეფონის ზარი შეუწყვეტლივ რეკს. ადგილობრივი და უცხო სახელმწიფოების ჟურნალისტები ეტლებით მოდიან რედაქციასთან და ცოტა ხნის შემდეგ ისევ უკანვე ბრუნდებიან. ყოველი მხრიდან ერთი და იგივე კითხვა მოისმის: შესდგება თუ არა ხვალ სეირნობა (დემონსტრაცია)? დადებითი პასუხი ამ კითხვაზე ხალხში ცხარე კამათს იწვევს. როგორ, ნუ თუ ასეთი აშკარა დამუქრების შემდეგ დემონსტრაცია მაიც შესდგება?—გაიძახის ბევრ ადგილას ჯგუფ-ჯგუფათ შეკრებილი ხალხი.

გათენდა კვირაც. ნამდვილი მაისის დღეა. მტრედის ფერი ცა შორს, მაღლიდან დასცქერის ბერლინს, თფილი, ბრწყინვალე მზე თავის სხივებს უხვათ აფრქვევს თავზე სადღესასწაულოთ მომზადებულ ქალაქს. ნამდვილი დღესასწაულია.

ქუჩებზე სამარისებური სიჩუმეა. ყოველი ფეხის გადადგმაზე დგანან პოლიციელები და ჟანდარმები სრული სამხედრო სამზადისით. შეჩვეული თვალი ბერლინს ველარ ცნობილობს. რამდენაც ქალაქის ცენტრს უახლოვდები, იმდენათ მეტათ რწმუნდები, რომ დღეს რაღაც არაჩვეულებრივი უნდა მოხდეს.

უცქერით ქვეითი და ცხენოსანი პოლიციელების შუბებს, ხედავთ კომისარების თავებზე „თავისებურათ“ ჩამოფხატულ კასკებს (ქუდებს) და პოლიციელთა ბრაუნინგების ყვითელ ბუდეებს,—ხედავთ ყოველივე ამას და თქვენ გავიწყდებათ მზეც, გაზაფხულიც და დღის სილამაზეც. ქალაქის შუაგულში ყველაფერი გარინდულა. ვეებერთელა მიდამო—ბრანდელნბურგის კარებიდან დაწყებული მეფის კოშკის იქით გამართულ ხიდამდის—უდაბნოს დამსგავსებია. მხოლოდ გაჭედილი ყავა-ხანები და მოსეირნე შუცმანები სიცოცხლის ნიშანს აძლევდენ ქალაქის უმთავრეს ძარღვს.

მოახლოვდა შუადღეც. ხალხი თანდათან კარგავს სულიერ სიმშვიდეს. მღელვარება მატულობს. „ფორვერტის“ ნომერში ჩვეულებრივზე ოთხ-ჯერ ხუთ-ჯერ მეტ ფასს აძლევდენ ოღონდ კი წასაკითხავათ იშოვონ. გაზეთების დამტარებელნი რამდენიმე წუთ[illegible] ალეებენ გაზეთებს და ისევ „ფ[illegible]ბას იწვეს“ რედაქციაში გარბიან. გაზეთ[illegible] ბოლოს ერ[illegible] ფურცელზე მსხვილი ასოებით დასტამბულია განცხადება: „დღეს, 11 საათიდან სმის ნახევრამდინ სეირნობაა დანიშნული“—ბევრს არ აკმაყოფილებს.

— სად მოხდება? რატომ ასე ბუნდოვანათ გამოუცხადებიათ? ტრეპტოვის პარკი ხომ პოლიციელების და ჯარების რაზმებით არის ალყა შემორტყმული?

გამოურკვეველი მდგომარეობა კარგა ხანს გრძელდება. ადგენენ ყოველგვარ გეგმებს. 12 საათზე ფრიდრიხის ქუჩა სრულიად გაჭედილია მრავალ ათასეული ბრბოთი. ყოველი ორი წუთის შემდეგ მიდიან მატარებლები, ვაგონებში ხალხის ტევა არაა, ბილეთებს ხუთ-ექვსს აძლევენ, ყველა ტრეპტოვისაკენ მიჰქრის. ნახევარი საათის მოგზაურობის შემდეგ—ჩვენ უკვე ტრეპტოვში ვართ. ქალაქ გარეთ მოთავსებულ პატარა სადგურს არაჩვეულებრივი სახე მიუღია. აქ სდგას პოლიციელთა ძლიერი რაზმი. სადგურის შეფი (ჟანდარმების უფროსი) დაღლილ-დაქანცული დარბის და ხალხს ემუდარება ერთათ ნუ შეჯეუფდებითო, ახლათ მოსული მატარებლებს დიდძალი მგზავრები მოყავს სადგურზე. ირგვლივ ხუმრობა, სიცილი და ყიჟინა გაისმის.

— ჩვენ შეიარაღებული ვართ. პოლიციელების სეირს ნახავთ. შეხედეთ ჩვენ მსხვილ სიგარებს, მოლესილი ლეკვერ-ბითაც-კი ვერას დაგვაკლებენ.

დიდ გაჭირვებით გამოვდივართ სადგურიდან. მთელი არე-მარე, რასაც-კი თვალი გადაუწვდება, პოლიციელებით არის გაჭედილი. ცხენოსანი, ქვეითი ჟანდარმერია და ჯარის-კაცები. ცარიელ პარკს სამ-მაგი წრე აქვს პოლიციელებისაგან შემოკრული. პარკში შესვლა სასტიკათ აკრძალულია. იმედი მაქვს ჩემი ლეგიტიმაციის (უცხო სახელმწიფოს ჟურნალისტის მოწმობა), არც ისინ[illegible]

ლორემო პალატა ითათბირებს ზოგად საფინანსო ზომებზე; ნაალდგომევს ყველაზე წინ მიღებულ იქნება ვეტოს შემკვეთი რეზოლიუცია, რომელიც მაშინვე გადავგზავნება ლორდთა პალატას; შემდეგ ლორემო პალატა ითათბირებს ბიუჯეტზე და ვეტოს ბილზე. ეს წეს-რიგი ერთხმათ იქნა მიღებული და ამით ლრუბელი გაიფანტა მხოლოდ 29 მარტამდე, ახალი ტალღით.

სამინისტრო ირწმუნება, სანამ ვეტოს არ მოვსპობთ საფინანსო კითხვებში და სანამ იმავე ვეტოს არ შევხლუდავთ დაარჩენ დარგებში, მანამ ჩვენი ტაბილათ ილი შეუძლებელია. წინდაწინვე გულთამისნობა არ გვმართებს, თუმცა ასკვიტი პოლიტიკურ-მორალურათ უკვე მკვდარია, ჩემის აზრით, და მას „უიჩებს“ დიდის სიფრთხილით უნდა მოვეპყრათ.

ა. ჩ.

ახალი ამბები

✦ გადასაჯდომი ბილეთები. შესდგა ქალაქის და ტრამვაის იურისკონსულტების კრება, რომელსაც დაესწრენ ქალაქის თავის მოადგილე ხატისოვი და დირექტორი ბატაილი. სხდომის მიზანი იყო გაერჩია საკითხი გადასაჯდომ ბილეთების შესახებ. ბატაილი ამტკიცებდა, გადასაჯდომ ბილეთებს ერთი საათით სარგებლობის უფლება მიეცესო. ხელშეკრულობაში გადასაჯდომ ბილეთებით სარგებლობის შესახებ მოხსენებული არაფერი არ არის. შეთანხმდენ ბილეთებით სარგებლობით 2 ს. ვადაზე, მაგრამ, რადგან ამ შეთანხმებას გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს, ამიტომ ეს საკითხი ქალაქის საბჭოში გაირჩევა და იურიდიულ კომისიას გადაეცემა თავის დასკვნის წარმოსადგენათ.

✦ ავაზაკთა ბრბო. 15 ვერსტის მანძილზე სასოფლო სამმართველოზე დაშორებით ციციანოვების ტყეში ხცისკის საზოგადოების მამასახლისი ნადირაძე ხუთი დარაჯით ავაზაკებს დაედევნა. ჩასაფრებულმა ავაზაკებმა სროლა აუტეხეს მდევნელებს. სროლის დროს მოჰკლეს მამასახლისი ნადირაძე და ორი დარაჯი. ავაზაკები მიიმალენ («კავ.»).

✦ ელექტრონის სადგური. გუშინ, 5 თებერვალს, შესდგა ქალაქის საბჭოს საფინანსო და სატეხნიკო კომისიების წევრთა შეერთებული სხდომა ქალაქის გამგეობასთან ერთათ, განიხილეს საკითხი თფილისის ელექტრონის სადგურისა და წყლისსაყვანის შესახებ; მოხსენებას ელექტრონის სადგურის შესახებ ქალაქის გამგეობა ორშაბათს წარუდგენს საბჭოს განსახილველათ.

✦ ბუნების მეტყველთა სიეზდი. 3 მარტა თფილისში მოხდა ბუნების მეტყველთა მე-13 სიეზდის მომწყობ კომიტეტის წევრთა კრება. გადაწყდა ახლავე შეუდგენ სიეზდისათვის აგრონომიული გამოფენის მოწყობის საქმეს. აირჩა კომისია, რომელიც მოაწესრიგებს სიეზდის ექსკურსიის საქმესაც.

✦ თფილ. საურთიერთო ნდობის საზ. შენობა ინჟინერების გამოანგარიშებით ეღირება სულ 125,000 მ. შენობის გეგმა უკვე მზათ არის, რომელსაც 28 მარტს საზოგადო კრებას წარუდგენენ განსახილველათ.

✦ ჟურნალისტების კრება. დღეს, 6 მარტს, ქალაქის თვითმართველობის შენობაში მოხდება თფილისის ჟურნალისტთა საზოგადოების წევრთა საზოგადო კრება, რომელიც აირჩევს სინიდისის სასამართლოს ყიფიან-ნაგურსკის გასასამართლებლათ. კრება დაიწყება საღამოს 7 საათზე.

✦ ვერის აუდიტორია. 3 მარტს მოხდა ვერის აუდიტორიაში ქართულ წარმოდგენების გამმართველ სექციის წევრებისა და სცენის მოყვარეების კრება. ვინაიდან ამ სექციას უფლება არა აქვს ვერის აუდიტორიაში ქართულ წარმოდგენების გამმართველ სექციის სახელი ატაროს, კრებამ დაადგინა; ეთხოვოს ვერის სახალხო კითხვების საზოგადოების გამგეობას, რათა მან დამტკიცოს ვერის აუდიტორიაში ქართული წარმოდგენების გამმართავი სექცია, როგორც ამ საზოგადოების ოფიციალური დაწესებულება; სექციის წევრებათ დასახელებულია შემდეგი პირები: კონ. ჯაფარიძე, ილ. ნაკაშიძე, იოს. იმედაშვილი—ხაშმელი, კოლ. მელიქ-შახნაზაროვი, გიორგი უსეინაშვილი, სამ. ქორაშვილი ალ. ფარნიევი. იმავე კრებამ დაადგინა ეთხოვოს ვერის აუდიტორიის იმ სცენის მოყვარეებს, რომლებიც შაბათობით სხვა თეატრებში თამაშობენ, რომ შაბათობით ადგილობრივ სცენას თავი არ გაანებონ ხოლმე და ხელი შეუწყონ წარმოდგენების წაყვანას.

✦ ნავთსადგურის ამოვსება. სავაჭრო სამინისტრომ 1,200,000 მ. გადასდოს „ბიბი-ეიბათის“ ნავთსადგურის ამოსავსებათ.

✦ სახაზინო თეატრი. დღეს, 6 მარტს, სახაზინო თეატრში სახ. უნივერსიტეტის სასარგებლოთ დოქტორ გ. ვ. სობოლევსკი წაიკითხავს საინტერესო ლექციას „სუდანი და კონგოზე“ (ცენტრალურ აფრიკაში მოგზაურობიდან). დასაწყისი საღამოს 8 ს.

✦ რეფერატი. დღეს, 6 მარტს, საზოგადო კლუბის დარბაზში დ. ა. კირშენბალტი წაიკითხავს რეფერატს შემდეგ თემაზე: „თანამედროვე ბრძოლა ტუბერკულიოზთან და ჩვენი სანატორიები.

✦ თფილისის დასის მოგზაურობა, დასავლეთ საქართველოში. 10 მარტიდან დაიწყება ქართული დრამატიული დასის მოგზაურობა პროვინციებში. წარმოდგენები გაიმართება ქუთაისში, ბათუმში, სოხუმში, ფოთში, ოზურგეთში, სამტრედიაში, ჭიათურაში და სხ. რეპერტუარი: „ოტელო“ შექსპირის, „ჰამლეტი“ შექსპირის, „შავი ბერი“ ლ. ტოლსტოისა და „სიკვდილი ნაპოლეონის.“

დასში ითვლებიან ქ. ქ. მ. მდივანი მ. ქილარჯიშვილი, ნ. რიონელი, პ. შოთაძე, ბბ. ვლ. ალექსი-მესხიშვილი, კ. მესხი, ი. ზარდალიშვილი, ვ. ურუშაძე, ნ. გვარაძე, კ. ანდრონიკაშვილი, ი. ქივიძე, კ. მატარიძე, ა. ლექსიძე და ბ. ბეგლარიძე.

✦ ქალაქის სკოლების მასწავლებლები ქალაქს სამოსწავლო კომისიის უკანასკნელ სხდომაზე განხილულ იქნა საკითხი ქალაქის სკოლების მასწავლებლების საქციელის შესახებ, რაც გამოიხატა იმაში, რომ მასწავლებლებს სამოსწავლო კომისიის შეუკითხავათ და ნება დაურთველათ თავის ნებით დაუთხოვიათ მოსწავლეები საზიარებლათ. კომისიამ დაადგინა: ჩაითვალოს მასწავლებლების საქციელი უკანონოთ და ამიტომ წლის განმავლობაში მოუსპონ მათ მატერიალური დახმარება.

✦ ქალაქის მოსამსახურეთა შემნახველ-გამსესხებელი კასის წევრთა კრება დანიშნულია ხვალა 7 მარტს ქალაქის შენობაში დღით 12 საათზე.

✦ თფილესში ჩამოვიდა ინჟენერი ლინდლეი, რომელიც განიხილავს წალკის წყლისსაყვანის გეგმას.

✦ თფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორასთან არსებულ შემნახველ-გამსესხებელ კასაში თებერვლის განმავლობაში შესულა სულ 81,477, მ. გაუტანიათ 33,449 მ.

✦ ანტისანიტარული მდგომარეობა. 4 მარტს მე-10 საპოლიციო უბანში დაათვალიერეს ყველა სასმელ საჭელის დუქანი. ბევრგან უსუფთაობა აღმოაჩინეს. დამნაშავეთ პასუხის გებაში აძლევენ-

✦ უბინაო ბავშვები. პოლიციელისტერის კანცელარიაში მიუყვანიათ 2 უბინო უბინაო ბავშვი. ერთი 5 წლ.—მე-2 3 წლ.; მათი ვინაობა არ იციან, ბავშვებიდან კი ვერაფერი გაიგეს. ფიქრობენ, რომ ბავშვები გვარათ—პეტროვი უნდა იყოს.

✦ როსკიპების შეპყრობა. 4 მარტს მე-2 საპოლიციო უბანში პოლიციამ შეიპყრო 29 როსკიპი ქალი. პოლიციის ცნობით მათ პასუხის გებაში აძლევენ.

✦ გენერალი დრაგომიროვი. 3 მარტს დილის 9 საათზე ჟანდარმთა ესკადრონის კამანდირი დრაგომიროვი დავიდოვის ქუჩაზე უეცრად ეტლიდან გადმოვარდა. გენერალმა თავი გაიტეხა, ფეხები და ხელები იღძო. მეეტლე დიდათ არ დაშავებულა. გაქანებული ცხენები ქვის გალავანს დაეტაკენ და ეტლი ნამტვრევებათ აქციეს. გენერალი უკეთ არის.

✦ ჩხრეკა და დაპატიმრება. 4 მარტს სხვადასხვა საბოდიშო უბნებში ჩხრეკის დროს ბოდიშიმ დაპატიმრა 30 უპასპორტო.

✦ „ეურ. «თეატრი და ცხოვრების“ კვირის, 7 მარტის მე-10 №-ში, დაიბეჭდება ედ. როსტანის ახალი 4 მოქმედებიანი პიესა „შანტეკლერი“ (განთიადის მომღერალი), თარგმანი ა. შანშიაშვილისა და რ. ბებიაშვილისა. პიესა დუქსთ არის ნათარგმნი.

✦ სამგლოვიარო წერილი. გბდოგობთ ძვირფას მეგობრის სტუდენტ გიორგი დუმბაძის უდროოთ დაკარგვას. ამხანაგები: მ—ე სიბაშვილი, ვ. დდოხტი, ა. ტინცაძე, მ. მიქელაშვილი, ვ. ანრიშაძე, ი. არგელაძე.

✦ იუმორისტული ჟურნალი „მათრახ-სალამური“ გამოვიდა № 10 შემდეგი შინაარსით: ქუთაისის ბანკი—კარიკატურა ილ. შმერლინგისა. „ორი გზით ერთი კურდღელი“—ეშმაკისა. „სხვათა შორის“ (იგავისებური)—კუნტისა. „დორი და ულელი“ ა. ბლიეკვაძისა. „ეშმაკის კალენდარი“—ეშმაკისა. „მოგონება“—ნ. ზიმელეოელისა. „შესტვარული“—შხანკოდისი. „ფოთის გმირი“—ნადარსი. „მთავარი სასელოსნო“—ალ. ზაგლობისი. „ეურნალ-გაზეთობა“—X. „მედგრათ“—დ. თურდოსპირელისა. „ბაბეს ნასამბობი“—ირაკლისა. დეპეშები, ფოსტა და სხვა.

—

შეცდომის გასწორება: გუშინდელ ნომერში—»განსაკუთრებული წესები»-ს ბოლოში სწერია: როგორიც არ უნდა იყოს ეს «წესები», რუსეთის მცხოვრებთ და სხვა... უნდა იყოს: როგორიც არ უნდა იყოს ეს „წესები“, რომლის წინააღმდეგ ჩვენ არა ერთხელ გამოგვითქვამს ჩვენი აზრი, რუსეთის მცხოვრებთ და სხვა... რომლის წინააღმდეგ ჩვენ არა ერთხელ გამოგვითქვამს ჩვენი აზრი—გამოტოვებულია.

ბ-ნ ლისოვსკის ლექცია.

კოლექტივიზმი.

პირველ ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენთვის გაუგებარი რჩება—რატომ ერქვა ლექციას კოლექტივიზმი, რომელსაც უფრო ადრე შეიძლება ვუწოდოთ—ლიტერატურულ მიმდინარეობათა განვითარების ისტორია რუსეთში. მარა საქმე ხომ სახელში არაა.

გადავიდეთ შინაარსზე.

სამწუხაროთ უნდა აღვნიშნოთ, რომ ის სიმეტრია, რომელიც დაცული იყო პლასტიკაში, სრულიათ არ იყო ლექციის სტრუქტურაში,—თვითეული ნაწილი ლექციისა მეტ-ნაკლები იყო; ვერ შევნიშნეთ აგრეთვე ანალიზის დროს ლიტერატურული ცხოვრების ცალ-ცალკე ფენომენები.

როგორც ვიცით, რუსეთში ერთი-მეორეს ეცვლებოდა და საზოგადოებაზე გავლენაში ერთი მეორეს ეცილებოდა ოთხი უმთავრესი ლიტერატურულ-საზოგადოებრივი მიმდინარეობა: სლავიანოფილობა, „ზაპადნიჩესტვო“, „ნაროდნიჩესტვო“ და მარქსიზმი. ამათგან თითქმის ყველაზე მეტი მნიშვნელობა ქონდა მარქსიზმს. „ნაროდნიჩესტვო“, თუ გნებავთ, არის სლავიანოფილობა შეხამებული სოფლის დემოკრატიის ინტერესებთან მაშინ, როცა მარქსიზმი არის „ზაპადნიჩესტვო“ გაცრილი სამრეწველო დემოკრატიის კოლექტივური ფსიხიკაში და გასაკვირია, რომ ბ. ლისოვსკიმ ერთი სიტყვითაც კი არ მოიხსენია მარქსიზმი, რომელიც რუსეთის საზოგადოებრივი აზროვნების გაცილებით უფრო დიდი ელემენტია, ვინემ სხვა დანარჩენი ლიტერატურულ-საზოგადოებრივი მიმდინარეობა. სამაგიეროთ, დეკადენტიზმს ბ. ლისოვსკიმ იმდენი ადგილი და ყურადღება დაუთმო, რომელიც სრულიათ არ შეეფერება მის მცირე დამსახურებას. ეს კიდევ ცოტაა. მან ის აზრიც გამოსთქვა, რომ თითქოს განმათავისუფლებელი მოძრაობა აღიზარდა ამ მჭლე და ავათმყოფ მცენარის ნაყოფზე.

ღრმა აზროვნების ნიშანი ამაზე მეტი ალარც კი შეიძლება!

ჩვენ ყურადღებით მოვიმზინეთ მთელი ლექცია და იმ დასკვნამდე მივედით, რომ „ახალი ამ ლექციაში არაა მართალი, და მართალი—არ ახალია“. მართალია ის, რომ იმ მოტივებს, რომელსაც ამუშავებდა რუსეთის ლიტერატურა, იძლეოდა ევროპის ცხოვრება, რომ ევროპა ცხოვრებაში განიცდიდა იმას, რასაც რუსეთი—ლიტერატურაში. მაგრამ, სამწუხაროთ, ყოველიფე ეს არ ახალია, ძველია.

სამაგიეროთ, ახალია ის, რომ რუსეთის ლიტერატურას არ განუცდია დასავლეთ ევროპის ლიტერატურის გავლენა, რომ პუშკინი თავისუფალი იყო ბაირონის გავლენისაგან. ახალია აგრეთვე, და ფრიად ორიგინალური ისიც, რომ ვითომ რუსეთის ყველა მწერლებიდან მხოლოდ ტურგენევს განეცადოს დასავლეთ ევროპის ლიტერატურის გავლენა.

სამწუხაროა მხოლოდ, რომ არც ერთი ეს მართალი არ არის.

თუ საჭიროა ავტორიტეტის მოყვანა იმის დასამტკიცებლათ, რომ ასეთი აზრი სრული შეცდომაა, ჩვენ შეგვიძლია მივუთითოთ მკითხველს ისეთ სპეციალისტზე და როგორც რუსეთის, ისე დასავლეთ ევროპის ლიტერატურის მცოდნეზე, როგორიც არინ პროფ. ვესელოვსკი („დასავ. ევროპის გავლენა რუსეთის ლიტერატურაზე“). აოამც თუ ლიტერატურა, მეცხრამეტე საუკუნეში „Домострой“ კი არ იყო, პრ. ვესელოვსკის აზრით, დასავლეთ ევროპის გავლენისაგან თავისუფალი.

არ არის მოკლებული ორიგინალობას და სიახლეს აგრეთვე ლექტორის აზრი რუსეთის ლიტერატურაში გაბატონებულ იდეას შესახებ. ლექტორის აზრით ასეთ იდეათ უნდა ჩაითვალოს ნაციონალური იდეა. ჩვენ ძალიან გვაინტერესებდა გაგვეგო თუ რაში მდგომარეობს ნაციონალური იდეას შინაარსი; და მართალი გითხრათ, ძალიან გაგვაკვირვა ლექტორის ახსნა-განმარტებამ, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ „ნაციონალური იდეა არის მისწრაფება **ხალხის ნების განსახორციელებლათ**“. ამან მოგვაგონა ჩვენ მოლიერის ექიმის ახსნა: „რატომ აძინებს ოპიუმი?—ჰკითხეს ამ პატივცემულ ესკულაპს. იმიტომ, რომ ოპიუმს აქვს დამაძინებელი თვისება“—უპასუხა მსწავლულმა გვამმა.

ჩვენ არ ვიცით, რას გულისხმობდა ბ. ლისოვსკი ნაციონალურ იდეას შინაარსათ, მაგრამ თუ მას ეს ტერმინი ესმის საზოგადოთ მიღებული შინაარსით, გავკადნიერდებით და ვიტყვით, რომ ეს ძალიან დამორებულია სიმართლეზე. ამ კითხვაში ჩვენ უფრო ვეთანხმებით ბ. ანდრეევიჩს. ანდრეევიჩი რუსული ლიტერატურის უმთავრეს ძარღვათ აღიარებს თავისუფალი პიროვნებისათვის ბრძოლას. ამ აზრს უახლოვდება აგრეთვე რუსეთის ლიტერატურის ცნობილი ისტორიკოსი ბ. ვენგეროვი.

მაგრამ ჩვენი აზრით ეს ფორმულა ვიწროა. უფრო ნამდვილია ასე ვსთქვათ: **ბრძოლა თავისუფალი პიროვნებისათვის და თავისუფალი საზოგადოებრივობისათვის.** აი რუსეთის ლიტერატურაში გაბატონებული იდეა, აი სად არის ძარღვი, და არა ნაციონალურ იდეაში, როგორც ფიქრობს ლექტორი.

საგაზეთო რეცენზიის ჩარჩოები, სამწუხაროთ, ნებას არ გვაძლევს დავამტკიცოთ შესაფერი საბუთებით ეს ტეზისი, მაგრამ ვეცდებით ცალკე წერილში დავუბრუნდეთ ამ, ჩვენი, აზრით, ფრიად საინტერესო კითხვას.

ლექციის გათავებამდის ჩვენ არ ვკარგვიდით იმედს, რომ ბ. ლისოვსკი დაბოლოს მაინც აგვიხსნიდა საიდუმლოს—რა არის ნაციონალური იდეა და როგორ მოხდა მისი რეალიზაცია რუსეთის ლიტერატურაში, მარა ჩვენი მოლოდინი არ გამართლდა. ლექტორმა ეს ზედმეტათ ჩასთვალა და საჭიროთ არ დაინახა დაეკმაყოფილებია მსმენელთა შორის აღძრული ცნობის მოყვარეობა.

ბ. ბ.

(შემდეგი იქნება) [illegible] ამ „ნდს“, მაგ- [illegible] მოწინავე ნაწილს ჩვე- [illegible]ისას, რომელზედაც მე ზე-

---

ნელი წუთები. მახლობელი შენობების ფანჯრებიდან მოისმის აღშფოთებული ხალხის ყვირილი.

— რას ჩადიხართ, თქვე არამზადებო?! მანდ ხომ ქალები, ბავშვები და მოხუცებულებია!...

გაფანტული დემონსტრანტები ისევ თავს იყრიან. პოლიცია მათ ქალაქისაკენ ერეკება და პარკისაკენ გზას უჭრის. საიდგან-ღაც გამოჩნდა სწრაფი დახმარების კარეტა. ვილაც დაუჭრიათ, ცხენის ფეხ ქვეშ გაუთელიათ. დაშავებულები მიყავთ; დემონსტრანტები მათ თანაგრძნობის სიტყვებით აცილებენ.

დიდის გაჭირვებით ვშოულობ ავტომობილს, ვბრუნდები უკანვე ქალაქში. ნაშუადღევის ორი საათია. თითქმის ზაფხულივით ცხელა. მთელი გზის სიგრძეზე, ქალაქის ცენტრამდის—სულ პოლიცია, პოლიცია და პოლიცია. აქა იქ შეხვდებით დემონსტრანტების მწყობრ რაზმებს, რომელნიც მარსელიოზის ზგუგუნით მიდიან ფართო ქუჩებზე. ჩემს გვერდით გაიქროლა ავტომობილმა, რომელშიაც ნაცნობი დეპუტატები ისხდნენ.

— გადმოჯექით ჩვენთან. წავიდეთ ტინგარტენში. იქ უმთავრესი დემონსტრაციაა დანიშნული!

გადავჯექი ჯერ რეიხსტაგის შენობას არ ვიყავით მიახლოვებული, რომ რამდენიმე ცხენოსანი ჟანდარმი წამოგვეწია, რომელნიც ტირგარტენისაკენ მიაქროლებდენ ცხენებს.

— „здѣсь, видно, жарко придется полиціи. Обошли-таки—мерзавцевъ! Ай—да молодцы соціалъ-демократы! Вотъ-то осканделится Фонъ-Яговъ!“

(აქ, ეტყობა, პოლიციას ძალზე დასცხება. ხომ მოსტყუვდენ !საძაგლები! აი, ყოჩაღ სოციალდემოკრატებო! რა სირცხვილს ჭამს ფონ-იაგოვი! (პოლიციის უფროსია.)

მივედით რეიხსტაგთანაც. აქ რაღაც დაუჯერებელი ამბები ხდება. პარლამენტის წინ გაშლილი მოედანი, შესანიშნავი „გამარჯვების“ ხეივანი და რეიხსტაგის დიდი კიბე—უთვალავი თავების ოკეანეთ გადაქცეულა.

საითაც არ გაიხედავ,—ყოველ მხრივ აღელვებულ ხალხის ზღვას ხედავ. პოლიცია სრულებით იკარგება ამ ვეებერთელა ხალხის გროვაში.

— სწორეთ ყოჩაღებია ეს სოციალდემოკრატები—არა? აღტაცებული ამბობს თავისუფალი მოაზრე დეპუტატი.—პოლიციის პრეფექტი რომ ასე სამარცხვინოთ „ჩაჯინო კალოშში“, სწორეთ განსაკუთრებული მოხერხერხებაა საჭირო. აქ ხომ ბრწყინვალეთ ჩაივლის მიტინგი. მთელი პოლიცია-კი ტრეპტოვშია თავმოყრილი!

მართლაც, მიტინგი ბრწყინვალეთ ტარდება!

ყოველი მხრიდან, საიდანაც-კი ეს შეესაძლებელი იყო, ორატორები სიტყვებს ამბობდენ. ბისმარკის ძეგლიდან, „გამარჯვების“ სვეტის (колонны) ცოკოლიდან, რეიხსტაგის კიბის საფეხურებიდან. ორატორები მთავრობას მკაცრ კრიტიკას უკეთებდენ და ხალხს ურჩევდენ „პოლიცია არ გაეღიზიანებიათ, მის პროვოკაციას არ აყოლოდენ.

— ამხანაგებო, ჩვენ გავიმარჯვეთ! ჩვენ ნათლათ დავამტკიცეთ ჩვენი ორგანიზაციის ძლევა-მოსილება. ფონ-იაგოვის სამარცხვინოთ და განსაკვირებლათ, მიტინგი მაინც შესდგა. დავამტკიცოთ ჩვენი თავდაჭერილობა. განვაგრძოთ დემონსტრაცია, მხოლოდ თავდაჭერილათ!

რეიხსტაგის კიბეზე მოულოდნელათ აფრიალდა წითელი დროშა. დიდებული, ბრწყინვარე, ის „ურას“ და „ჰოხ“-ის ძახილით ჰაერში შეფრიალდა.

„თავისუფლება, ერთობა, ძმობა“.

— მსხვილი ასოებით არის დროშაზე წარწერილი. რაღაცას ლაპარაკობენ, ყვირიან, მაგრამ სიტყვები ვეღარ აღწევენ აღტყინებულ გონებამდე.

— დამალეთ დროშა! ჟანდარმები მოდია!

კიბეზე შეცვივდენ ჟანდარმების ნახევარი ესკადრონი (ესკადრონი 120 კაცისაგან შესდგება). ყვირილი, წყევლა, მუქარა—ერთმანეთში აირია. ჟანდარმები მარჯვნივ და მარცხნივ ყველას სცემდენ, ვისაც-კი მოასწრებდენ, განურჩევლათ, სთელავდენ ცხენის ფეხებით. მიტინგის ხელმძღვანელები დემონსტრანტებს ამშვიდებდენ და სრული წესით უკან ახევინებდენ.

პოლიცია გაბრაზდა. გრძნობდა-რა თავის უძლურებას, ის თავის ჯავრს ქალებზე და მოხუცებულებზე იყრიდა.

ჩვენ გავემართეთ წინ. ყოველგან ერთი და იგივე სურათია.

ტირგანტენი სოციალდემოკრატების მფლობელობაშია. ხეივნებში მიტინგებია, გზა-ჯვარადინზე მიტინგია. საითაც არ გაიხედავ,—ყოველგან მხუთავალე სიტყვები, მოწოდებები და მარსელიოზა. ტირგარტენის ბრწყინვალე საზოგადოება სრა-სასახლეებიდან შიშით შერეული ცნობის მოყვარეობით ადევნებდა თვალს ხალხის პროტესტის ლამაზ სურათს.

ასე გაგრძელდა საღამომდი. მიუხედავათ მსუბუქი შეტაკებისა და სისხლის ღვრისა, სოციალდემოკრატებმა ბრწყინვალეთ გაიმარჯვეს პოლიციაზე. მიტინგი საუცხოოთ ჩატარდა. ბერლინმა კიდევ განიცადა ერთი დიდი შიშისა და ბრძოლის დღე. რამდენი იქნება კიდევ ამისთანა? („რუსსკ. სლ.“).

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკანასკნელი ფოსტა

სპარსეთი

სიმდიდრის აღმოჩენა. თეირანიდან „ს. „ო. დ.“ დეწერეთ ატყობინებენ, რომ სამხრეთ სასახლის ბნელ სარდაფებში შემთხვევით აღმოაჩინეს ძვირფასი თვალ-მარგალიტები და ძველი ოქრის ფულები, რომელიც უოფილი შახის ნასრ-ედინის მეფობის დროს არის მოჭრილი.

მინისტრის გადადგომა. კარეშე საქმეთა სამინისტროს მმართველმა საგარეო-მეფეთ-მეფემ სამსახურიდან გადადგომის ქაღალდი შეიტანა.

სესხი. უკანასკნელ ხანებში სპარსეთში გაცხარებულ აგიტაციას ეწევიან, რომ მთავრობამ რუსეთ-ინგლისის სახელმწიფოებისაგან სესხი არ აიღოს. ამ კარემოებამ სპარსეთის მთავრობა იძულებული გახადა სესხის შესახებ მოლაპარაკება გაწყვიტოს საფრანგეთის ბანკირებთან. სესხის პირობების შესახებ დეწერილებით მოსალაპარაკებლათ პარიზში გაიგზავნა სპეციალური პირი.

საზღვარ-გარეთ

დემონსტრაციების გამო. ფრანგეფურტის პოლიციამ პასუხისგებაში მისცა რამდენიმე პირი. სასამართლომ გაარჩია ორი პრინციპიალური ხასიათის საქმე. პირველი საქმე შეეხებოდა 7 პირს, რომელნიც დემონსტრაციებში მონაწილეობის მიღებისათვის აღმინისტრატიული წესით ოც-ოც და ათი მარკით იქნენ დაჯარიმებულნი. შვიდივე დაჯარიმებულნი მოითხოვდენ საქმის სასამართლოს წესით გადასინჯვას. სასამართლომ ჯარიმები ძალაში დასტოვა და თავისი გადწყვეტილება ასე დასაბუთა: „ქუჩები დანიშნულია მისვლა-მოსვლისათვის, თუ ვინმეს მათი სხვა მხრივ გამოყენება სურს, ამისათვის წინასწარი ნებართვა უნდა აიღოს. უკანასკნელ ხანებში ცნობილმა ჯგუფებმა საქვეყნოთ გამოაცხადეს „ქუჩის უფლება“ და ვინც ამ „უფლების“ განხორციელებაში მონაწილეობას იღებს, ის ამით კვეებნებს, რომ ნამდვილ უფლებას ის პატივით არ ეპყრობა. ამიტომ მას უფლება არ აქვს კაიკვირის, როდესაც კანონი მთელი თავისი სისასტიკით მას თავზე დაატეხდა“. მეორე საქმე შეეხებოდა დდიურ მუშას, რომელიც 30 მარკით იყო დაჯარიმებული იმის გამო, რომ „ურას“ იძახოდა ქუჩაში საყოველთაო საარჩევნო უფლების სასარგებლოთ. ბრალმდებელი მოითხოვდა, რომ ჯარიმა სასამართლოს ძალაში დაეტოვებინა. ბრალმდებელი აღნიშნავდა, რომ ამ შემთხვევაში ადგილი ქონდა მეკარეს, რადგან ბრალდებულმა თავისი „ურათი“ ხალხი აიყოლია. სასამართლომ ბრალდებული გაამართლა, რადგან დასაუფლობა ვერ ჰპოვა მის მოქმედებაში.

ფონ-იაგოვის ზრუნვა. ბერლინის პოლიციის პრეზიდენტი, ფონ-იაგოვი მარტოამბზე-და ზრუნავს, რომ კასუდი დემონსტრაციების დროს თავისი მოქმედება კანონიერთ-ლოს. ფონ-იაგოვი ყოველ დღე ასტამბვინებს გაზეთებს წერილებს, რომელშიაც პოლიციის მოქმედებას მისთვის სასურველი სახით მოუთხრობს მკითხველებს.

რუსეთი.

ავტომობილის მსხვერპლნი. გორბოგოის ქუჩაზე (პეტერბურგში) 27 თებერვალს, დღის 11 საათზე უბედურება მოხდა, რომლის მსხვერპლი შეიქნა 5 კაცი. ალექსანდრეს ბაღიდან „ცარსკოსელსკაია“ საბაგირისაკენ მიექანებოდა ავტომობილი. ოფიცრის (ხელმძღვანელი ავტომობილის) კამოუცდელობით გორბოგოის ქუჩაზე გაქანებულმა ავტომობილმა მოუხვია და სამინელი ძალით დაეჯახა სახლის (№ 36) კედელს. ავტომობილმა კედელზე მიასრესა ამ დროს ქვა-ფენილზე მიმავალი ბარგინოვი, 28 წლის, უგლოვი, 18 წ., პავლოვი, 24 წ., სმირნოვი 24 წ. და სმიდინი 12 წ. ჩაფეული მინების წკრიალთან ერთათ მოისმა გულშემზარავი კვნესა-კივილი. ოფიცრს გონება დაეკარგა და ხელიდან გაუშვა ავტომობილის სამოძრაო ბორბალი. ამის გამო მატორი ისევ მოქმედებას განაგრძობდა და ავტომობილიც შეუწყვეტლივ აწვებოდა კედელს. შეგროვილმა მეეზოვეებმა და პოლიციელებმა ძლივს მოაცილეს ავტომობილი კედელს. ქვაფენილზე სცოდავთ ეყარენ სრულებით დასახიჩრებული მსხვერპლნი. ზოგ მათგანს მთელი შიგნეულობა ქონდა გარეთ გადმოყრილი. ერთი დასახიჩრებულთაგანი იქვე კარგა ხანს.

ტრამვაის საზოგადოების პრემიები. რადგან ტრამვაის ფაეტონებისაკენ ბევრი ხალხი სახიჩრდება, რომელთა დაჯილდოვებას დიდ ხარჯებს მოითხოვს, მოსკოვის ქალაქის თვითმართველობამ გადასწყვიტა ორი [illegible] ადამიანთა შემოიდოს „პრემია“ გავიმ, რა კარგ[illegible] მიეცეა ლხენას განუს[illegible] ფონების ფრთხილათ ტარებისთვის. თუ ვატმანი ექვსი თვის განმავლობაში ისე ფრთხილათ ატარებს ეტაკონს, რომ არავის ნიშნიერს, ან ფიზიკურ ზარალს არ მიაყენებს, მას პირველად „პრემია“ მიეცემა 25 მ., შემდეგი 6 თვის „პრემია“-კი 30 მ. „პრემიების“ მიცემა დაიწყება მიმდინარე წლიდანვე, ამ თანხისთვის გადადებულია 12 ათასი მანეთი. ამ „პრემიების“ შემოღებით პეტერბურგის ტრამვაიმ გასული წლის განმავლობაში მოიგო 31,520 მანეთი.

პროვინცია

ს. სურები (გორის). 21 თებერვლიდან დაიწყო მოქმედება ქვემო-სურების უფასო წიგნთ საცავ-სამკითხველომ, რომელიც დაარსებულია იაკობ გოგებაშვილის სახელობაზე. საწყოთ თავგამოდებული მუშობა, რათა ამ კულტურულ დაწესებულების არსებობა მკვიდრ ნიადაგზე იქნას დაყენებული. აქვე უნდა შეგნიშნო, რომ ამ დღის, სპეციალურათ ბიბლიოთეკის გახნის შესახებ, მოწვეულ კრებას შეადგენდენ უმეტესათ ხანში შესული პირები. ახალგაზრდობა კი, რომელსაც უფრო უნდა იზიდავდეს ეს სიმპატიური დაწესებულება, აქ არ ჩანდა კარტი, ნარდი და დომინო, აი აქაური ახალგაზრდობის დიდი ნაწილის სტრეოიალო სკანი, რაც აღნიშნული და დაგმობილ იქნა ამ დღის კრებაზედაც.

ამ ბოდო დროს მეტის-მეტათ გახშირდა «მიდოცვის» ქორწილები, რაც საშინელ სიმძიმეთ აწევს ხალხს ზურგზე, თვითონ ქორწილის მოწყობს კი ან არაფერს და ან სულ უმნიშვნელო „მოსაგებს“ უტოვებს, რადგანაც მინაღოცი ფულების დიდი ნაწილი ისევ ქორწილის ხარჯების გასწორებას უნდება, ხოლო თუ მიეცემა სახეში იმ შრომას, რომელიც ქორწილის მოწყობას უნდება და აგრეთვე იმას, რომ მინაღოცი ფულებს ისევ სამაგიერო ქორწილებში გადასახდევინებენ, ადვილი მისახვედრია, რომ აქ ქორწილის მოწყობასაც ნამდვილათ ზარალი აქვს და არა მოსაგები. ამას ისიც უნდა დამატოს, რომ ასეთი ქორწილები მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში თავდება უმარცხოთ.

— 19 თებერვალს აქ ერთი უბედურება დატრიალდა: აქაურ სამეიტნოში დამთვრალიო სპირიდონ დავ. რამიშვილი. როცა ის სახლში დაბრუნებულა, გზაში მდინარე სეფისაში გადაბნეხილა და დამხვრჩალა. დარჩა ხუთი მცირე წლოვანი ბავშვი.

— ჩოხატაურის ექიმი ბ. არეშიძე დასთანხმდა 15 დღეში ერთხელ სისტემატიურათ იდგეს აყათმყოფი ს. ქვემო-სურებში, რისთვისაც ის დიდი მადლობის დირსია.

— როგორც დანამდვილებით გვიგეთ, ნამესტნიკს ხუთას ხუთასი მანეთით დაუჯარიმებია გურიის რამოდენიმე სოფლის ბანაკი და მათ შორის სურებიც ეარსდთ დეფარვის გამო.

ვინმე.

ს. კახური (გორის). კახურის სოფლის ქვეს ჩრდილოეთ დასავლეთით ოზურგეთზე და შესდგება ხუთი პატარა სოფლებიდან: ზანიეთური, ბაიდეთი, ციხის ფერდი, ახალსოფელი და ეწერი. არა შეგონია მოიძებნებოდეს გურიაში კიდეკ ასეთი ჩამორჩენილი სოფლები. მიუხედავთ აქაური მიწის სიხოიერისა, მცხოვრებლები უკიდურეს მდგომარეობაში არიან. ერთ ერთ უმთავრეს მიზეზათ ხალხის სიდარიბისა, უნდა ჩაითვალოს გზების უქონლობა. ენგენისთვის გასულს აქ ისეთი ტალახები დგება, რომ არა თუ ურმებით, ქვეთით სიარულიც შეუძლებელია. თუ ვინმეს ურემი ჩაეფლა ტალახში, ურემი უნდა დასცალოს და შემდეგ ცალიერი ამოიღეს. გზების შეკეთებაზე კი არავინ ფიქრობს. მარშინ ვითომ ადგილობრივმა მამასახლისმა მოინდომა შეკეთება, მაგრამ სამწუხაროთ, იმ დროს ხახრძლივი გვალვა იყო და ამის გამო ეურები არავინ კიბერტეა.

რაიმე კულტურული დაწესებულება აქ ხომ სიზმრათაც არავის უნახავს. არსებობს მხოლოდ ორ-კლასიანი სამინისტრო სკოლა, რომელშიაც ასზე მეტი მოსწავლეები სწავლობენ, მაგრამ, საუბედუროთ, მას ნაოფი ძალიერ ეტა, ან სულ არ მოაქვს, მას შემდეგ, რაც მასწავლებლათ დანიშნა ი. მენაბდე. ბ. ბენაბდეს რაც მოესურვება მაშინ ასწავლის ბავშვებს. სწავლის დაწყების დრო აქ ხან 12 და ხან პირველი საათია. მოახლოვდება თუ არა თვის ბოლო რიცხვები, ბ. მენაბდე თხოვნას აძლევს ბოქაულს, რომ ჯამაგირი თავის დროზე მოგვრიბოს მამასახლისმა და ამით თავდება მისი მოდგაწეობა. ამას წინათ აქ გადმოეფანა ჯუმათიდან მეორე მასწავლებელი გ. სვანიძე, რომელიც, როგორ ეტეობა, ენერგიული კაცი უნდა იყოს. ვნახოთ.

„გრიგალი“.

—

ნახუტური (ფოთი). ამ ერთი წლის წინათ ნახუტურის მცხოვრებლებმა განიზრახეს აეგოთ ორ-კლასიანი სამინისტრო სკოლა. სასოფლოს მახლობლათ, რისთვისაც ქალაქის თვითმმართველობამ ერთი ნაკერი მიწა დაუთმო. სახზოგადოებამ აირჩია კომისია, რომელსაც ეკისრებოდა საქმირო ფულები შეეგროვებია და მით სასწავლებელი აგეოთ, მაგრამ თითქმის ერთი წელიწადი გავიდა და კომისიას ხელიც არ გაუნძრევია. ასეთი გულგრილათ საქმის არათერათ ჩაგდება მათი მხრით მიუტევებელ ცოდვათ უნდა ჩაითვალოს. ერთად-ერთი საშუალება საზოგადოებას ის დარჩენი მოსთხოვოს კომისიას, გაეცნოს მას, მის ერთი წლის მოქმედებას და თავიდან აიცილოთ ის ხმები, რომელნიც საზოგადოებაშია გავრცელებულია.

მ. ტუეშაგელი.

—

დ. ჩოხატაური. 27 თებერვალს, სცენის მოუკარეებმა საქველმოქმედო მიზნით ითამაშეს ირეთელის მიერ გადმოკეთებული 4 მოქმ. დრამა „ქრისტინე“.

ამ პიესის თამაში პროვინციაში და ისიც სცენის მოუკარეების მიერ, არც ისე ადვილია, მაგრამ მიუხედავათ ამისა, შეიძლება ითქვას რომ წარმოდგენამ რომ არ მოგვეწონოთ ისე კარგათ ჩაიარა. უმთავრესი როლები: როგორც მაკლდონად ქრისტინე, საკმაოთ კარგათ ჩასტარა ქ-ნმა მ. ტინტაძემ. მართალია, აქა-იქ მოქმედებას კრძნობიერება აკლდა, მაგრამ მან მაინც საკმაოთ შესძლო ქრისტინეს სულისკვეთების გამოხატვა. საზოგადოებამ ის ტაშისცემით დააჯილდოვა. დათია (ბარო. მეგრელიძე) ხომ თითქმის ნამდვილი ტიპი იყო დაბეჩავებული გურული გლეხი კაცისა. საკმაოთ კარგათ შასრულა თავისი როლი მარიკამაც (ოლგა ლოლიძე) კარგათ შასრულეს თავიანთი როლები ვენ. ძნელაძემ, (სონია) მარო ლოლიძისამ (მაია), მ. ჩიხლაძემ (მარინე). დასარჩენებიც ანსაბლს ხელს უწყობდენ. კარგი იყო არშაკ მალტოფიც.

28 ს იგივე პიესა უნდა ეთამაშათ ჯვარეს მაშიაც, მაგრამ დამოუკიდებელ მიზეზების გამო დროებით გადაიდო. ამნაირათ, მიუხედავთ იმისა, რომ ერთი მოთამაშეთაგანი გენერალურ რეპეტიციის დროს დაატეხვეს და მით თამაშის ხალისი განახევრდა, წარმოდგენა მოდოდინზე უკეთ ჩატარდა.

მიუხედავთ იმისა, რომ ცივი წვიმიანი საღამო იყო, ხალხი ბევრი ფეხზე იდგა უადგილობის გამო.

—ლია.

წერილი რედაქციის მიმართ

—

ბ-ნო რედაქტორო! ნება მიბოძეთ თქვენი ფაზეთის საშუალებით მადლობა გამოგუცხადოთ იმ პირთ, რომელთაც თფილისის საქონლის საგზურის მოსამსახურეთა შორის შეაგროვეს ფული და უდროოდ გარდაცვლილ ებული ამხანაგის ეპიფანე მადნარაძის ხსოვნის აღსანიშნავად, ნაცვლად გვირგვინისა, გამოუწერეს მისივე სოფ. ეწერის სკოლას ერთი წლით საუმაწვილო ჟურნალი „ნაკადული“.

ესაა შემომწირველთა: ს. არუცევი, ვალ. დავანავა, ი. ჩხიკვაძე, დ. დვალი, ბეგთაბეგოვი, მ. რატიანიძე, ვალ. მიქაძე, ალ. ტატიშვილი, გრ. ცაკარეიშვილი, ალ. ფხაკაძე და ბ. ბურჭულაძე.

ბ.

—

ბ ნო რედაქტორო! ნება გვიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით უდრმესი მადლობა გამოგუცხადოთ ბ-ნ ადალო თუთაევს, რომელმაც არ დაიშურა არავითარი შრომა ჩვენი ბიბლიოთეკის საკეთილდღეოთ: უფასოდ დაგითმო ერთი წლის ვადით ორი ოთახი სამკითხველოსთვის დირებული წლ. 240 მ. შემოსწირა წიგნები, დირებული დაახლოვებით 60 მან. ჟურნალები 200 ცალამდე სხვა და სხვა მწერლების სურათები. პრესი (სტაკეტი) 10 მ. დირებული, ფეხი 1 მ. 50 კ., სტოლი 1 მ. 50 კ., სადებავი 6 მ. სამელნე მოწყობილობით და სხვა და სხვა წვრილი ხარჯებიც თითონ იკისრა და ფიზიკური შრომაც არ დაიშურა.

მზრუნველები: ალ. ვაშაკიძე, ივ. კავლიოვი, ნიკ. ოკუჯავა, ნ. გიორგაძე და ვ. დარიბაშვილი.

—

პასუხათ „არტისტ“ კ. მჯელლი-შვილს

(წერ. რედ. მიმართ).

ჩვენ წერილში, „ახალი სხივი“ № 13, მე თქვენ გაგაფრთხილეთ, რომ ნუ მოქმეკენებთ უოველივეს, დაათხოვეთ მსახიობის სახელით წარმოდგენების მართვას მეთქი, რადგან ვერ გაგაგებინეთ, ეხლ დეე გაიგოს ყველამ, რომ თქვენ არც ქუთაისის და არც თეთლისის სცენაზე მსახიობთ არ მსახურებლით. თფილისში ორი სეზონი მუშობდით მეკავეკეს თანაშემწეთ.

1907 წ. 24 ივლისს, დიდ ხვეწნისა და მუდარის შემდეგ, როცა თავი მოაბეზრეთ ერთ დამსახურებულ მსახიობს, მიგიწერა წერილი, გამგეობის მდივანთან ბ-ნ დ. დუმბაძესთან; როცა ბ. დუმბაძემ წერილი მიიღო, თქვენ არც კი გიცნობდათ, მსახიობდა, რომ ოდესღაც სცენაზე მსახურებდა ვინმ მწვალდიშვილი, მას ის თქვენ ეგონეთ და მოგცეთ მოწმობა. ამ რიგათ „ფალქმანიეთ“ გახდით „არტისტი“. ეხლ ჯავრობთ და ამუქრებით კიდეც... რომ თქვენს საქციელს ბევრი არ დაგუმატოთ, მაგდეთ მოგწერი: განკარგულება უკვე მოხდებოდა, რომ მოწმობა, როგორც შეცდომით მოცემული, ჩამოგართვან.

რედ. თანაშემწე ვ. ურუშაძე.

რედაქტორ-გამომც. მ. ალველაძე

განცხადება

კბილის საექიმო კაბინეტი

იოსვეტისა

(„ბაუფრთხილდით კბილებს“ ავტორის, ფასი 15 კ.) კბილების ექიმობა, ლრძილების, ძირების და პირიდან ცუდი სუნის. ხელოვნური კბილები ჩასმა. მიხაილოვის ქუჩა, 124, კბილის საექ. სკოლის გვერდით. (100—27)

მატარებლების მიმოსვლა

15 ოქტომბრიდან 1909 წ.

საათები აღნიშნულია თფილისის დროზე

თფილისიდან გადის

ბაქოსაკენ: საფოსტო № 4, 11 ს. 40 წ. ღ., სამგზავრო № 6, 8 ს. 11 წ., დღით; სამგზავრო № 12, 10 ს. 11 წ. ღ., შერეული მე-IV კლასის ვაგონებით № 106, 7 ს. 3 წ. დილით.

ბათუმისაკენ: საფოსტო № 3, 9 ს. 42 წ. დილით; სამგზავრო № 5, 1 ს. ღამ; სამგზავრო № 7, 8 ს. 10 წ. საღამ; შერეული მე-IV კლ. ვაგონებით, 4 ს. 28 წ. დღით.

თფილისში მოდის

ბაქოდან: საფოსტო № 3, 8 ს. 42 წ. დილ., სამგზავრო № 5, 12 ს. 11 წ. ღამ; სამგზაროო № 11, 10 ს. 47 წ. დღ.; შერეული მე-IV კლ. ვაგონებით № 107 3 ს. 16 წ. დღით.

ბათუმდან: საფოსტო № 4, 10 ч 40. წ. ღამოს; სამგზავრო № 6, 7 ს. 21 წ. დილით; სამგზავრო № 8, 12 ს. 17 წ. დღით; შერეული მე-IV კლ. ვაგონებით № 106, 5 ს. 53 წ. დილით.

თფილისიდან გადის

მაიხილოვზე: სამგზავრო-საქონლის № 9, 8 ს. 23 წ. დღით.

თფილისში მოდის

მიხაილოვიდან: სამგზავრო-საქონლის № 10 8 ს. 23 წ. დილით.

ყარსის გზაზე

თფილისიდან გადის: საფოსტო № 74/75 ჯულფაში, 1 ს. 37 წ. ღამით; სამგზ.-საქონლის № 72/79 ერევანში, 4 ს. 20 წ. დღით; შერეული მე-IV კლ. ვაგონებით № 10 109, ალექსანდროპოლში 5 ს. 8 წ. დღით.

თფილისში მოდის: საფოსტო № 72/73 ჯულფიდან 6 ს. 19 წ. დილით; სამგზავრო საქონლის № 80/81 ერევნიდგან 6 ს. 44 წ. საღ.; შერეული მე-IV ლვ. ვაგონებით № 110/111 ალექსანდროპოლიდან ღამით 4 ს. 48 წ.

თფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და სამშობლო განყოფილებით. დღე არის ოფოველ დღე გარდან მოსარეულ ავათმყოფთათვის.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლი, № 7, „ვიტალის“ სასტუმრო. ტელეფონი № 590.

ლამბაშიძე ვ. დ. შინაგან და ბავშვ ყოველ დღე, გარდა კვირისა 11—12 ს.

ბედევანიშვილი ვ. ა. ნერვების და ელ. ოთხშ., ოთხშ. და პარ. $10^1/_2$—11.

ბურკოტ ბ. ა. შინაგანი. შაბათს 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

ძიძოლაძე ტ. ს. შინაგანი. ოთხშ. და ოთხშაბათობით 9—10 ს.

ქარშინი ა. ა. კანისა და ვენ., ყოველ დღე. კვირას გარდა $2^1/_2$—$3^1/_2$ ს.

მალალაშვილი ბ. ბ. შინაგ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

ბანაშვილი ვ. ფ. შინაგანი. ოთხშაბათ., ოთხშ. და პარ. 1—2 ს.

მელიქიშვილი ნ. ფ. ქირურგ. და დედაკ. ყოველ დღე 12—1 ს.

ბუსხელიშვილი ვ. ხ. თვალის. ოთხშაბათ, ოთხშ. და პარსკ. 2—$2^1/_2$ ს.

ფირალოვი რ. ბ. ქირურგ., ყოველ დღე 11—12 ს.

ბოკოვი ბ. ა. ყურის, ყელის და ცხვირის, ყოველ დღე, გარდა პარ. 2—$2^1/_2$ ს.

რცხილაძე ნ. კბილ. ყოველ დღე 9—10 ს.

ხოგოლევსკი ბ. ვ. ქირურგ. ყოველ დღე. 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი. (100—90)

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაცია, კონსულტაცია, ელექტრონით წამლობა, მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და შეღავათიანი საფასურით.

ვოგზლის კერძო სამკურნალო

ღიაა ყოველდღე მოსიარულე ავათმყოფთათვის. ვოგზლის ქ., № 8; ს. ენფიანჯიანცისა (ტელეფონი 695.

ექ. ს. ბაშაყმაძე კბილის ავათმყ. ყოველ დღე 10—11 ს.

ექ. ი. გომართელი ყოველ დღე 2—3 ს.; შინაგან და ბავშვ. ავათმყ.

ექ. ა. ნ. დიასამიძე: ყოველ დღე $11^1/_2$—$12^1/_2$ ს.; სიფილ., ვენ. და კანის ავათმყ.

ექ. ნ. მ. მელიქიშვილი: ყოველ დღე 1—2 ს.; დედათა და ქირურგ. ავათმყ.

ექ. ბ. ა. ბოკოვი: ყოველ დღე, გარდა კვირისა 12—1 ს.; ყელის, ცხვირის და ყურის ავათმყ.

ექ. ვ. ნ. ფედოროვი: ყოველ დღე, გარდ ოთხშ. და კვირ. 11—12 ს. შინაგანი და ბავშ.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძათ გასინჯვა.

ფასები რჩევისათვის 50 კაპ.. ოპერაციები და კონსულტაცია მორიგებით. (100—90)

ქ. ბ ა თ უ მ ი

ავეჯეულებისა და ჭუჭჭლეულობრი

მ ა ღ ა ზ ი ნ ა

კ. ა. მაჭარაძისა და პ. ა. ჭეიშვილის

დონდუკოვ-კორსაკოვის ქუჩა 21.

მაღაზიაში მუდამ არის **დიდის არჩევანი** ყოველგვარი, ფარფორის, ფაიანის, ემალის და ნიკელის ბურბელი, საზღვარ-გარეთელი და რუსეთის ლამპები, ბროლისა და შუშის ნაწარმოებნი, ყოველნაირი სპილენძის და ნიკელის სამოვრები, ბრინჯაოს ნაწარმოებნი, ნაკეთისა და თუჯის ფეხები, სამზარეულოს და სტოლის სხვა და სხვა მოწყობილობა და ყოველნაირი საოჯახო ნივთეულობა. „ლინოლეუმები“, „კლიონკები“ და ლიოლინის გვირგვინები, ვენის რბილი და კარგი ავეჯი, კროტები ინგლისის და ვარშავის ფაბრიკების, საყინულეები, სარკეები და მატერიები ავეჯისთვის.

მთელ საქონელს, როგორც რუსეთის ისე საზღვარ-გარეთისას, ვფებულობთ პირდაპირ ფაბრიკიდან, იყიდება ერთად და ცალობით, **ფასები ხელმისაწდომია** ყველასთვის, რაშიც თითონ დარწმუნდება პატივცემული საზოგადოება, როცა ჩვენს მაღაზიაში ივაპრებს. (0—1)

მიიღება ხელის მოწერა ორ-კვირეულ ჟურნალ ესპერანტოს ენაზე, სიტყვების და წინადადებების ქართულ, სომხურ და რუსულ ენებზე განმარტებით

„კავკასიის ესპერანტისტი“

ჟურნალის მიზანია ესპერანტოს ენის გავრცელება კავკასიის მცხოვრებთა შორის. სხვა და სხვა სტატიების გარდა ჟურნალში მოთავსებული იქნება სისტემატიური გაკვეთილები ესპერანტოს ენის შესასწავლად რუსულ, ქართულ და სომხურ ენების შემწეობით. ჟურნალში პასუხი მიეცემა ყოველ კითხვაზე ამ ენის შესახებ ხელის მომწერლებს.

ხელის მოწერა მიიღება: 1) მიხაილოვის პროსპ. № 98 ძმ. ჰაჯიევების მაღაზიაში, 2) პუშკინის პასაჟი, ს. სოლომონიანცის ცინკოგრაფიაში, 3) კვირაობით, 11—12 საათ. 1-ლ სავაჟ გიმნაზიაში.

ფელიეტონი 1 მანეთი

სხვა ქალაქებიდან: Тифлисъ, Панасевича ул. № 1, Айку Тер-Аствацатрянцу.